



## საქართველოს საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელებთ კანონმდებლობით

### ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

2016 წლის იანვარში საქართველოს პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ. კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

- დივიდენდის გადასახადი გაიზრდება 5%-დან 15%-მდე;
- მოგების გადასახადი, რომლის ამჟამინდელი ოდენობაა 15%, გაუქმდება;
- საშემოსავლო გადასახადი შემცირდება 20%-დან 17,5%-მდე; ხოლო 2018 წლიდან კი მოხდება მისი 15%-მდე შემცირება;

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში იგი ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე.

**თარიღი**  
**იანვარი 2016**

ამ თვის გამოცემაში შეგიძლიათ იხილოთ:

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

ცვლილებები კანონში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ

ცვლილებები კანონებში მაუწყებლობის და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

## ცვლილებები კანონში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ

საქართველოს პარლამენტი განიხილავს ცვლილებებს კანონში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, რომელთა მიზანია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნასთან დაკავშირებული ნორმების საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა.

კანონპროექტის თანახმად, კანონის მე-14 მუხლში კონკრეტდება, რომ მოვალეს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით უფლება აქვს მოითხოვოს როგორც გაკოტრება, ასევე რეაბილიტაცია. ამ შემთხვევაში, მოვალემ უნდა წარადგინოს რეაბილიტაციის გეგმა. განცხადების შეტანის უფლებამოსილება იმ კრედიტორებსაც ეძლევათ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ არგუმენტირებული განცხადებით ასაბუთებენ მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის აუცილებლობას.

პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის კანონში ასახვის საჭიროებიდან გამომდინარე, კანონით ნათლად განისაზღვრება კრედიტორთა უფლებამოსილება მეურვისგან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე.

ცვლილებით განისაზღვრება, რომ კრედიტორისათვის ზიანის მომტანად ჩათვლება, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანამდე 1 წლის განმავლობაში განხორციელებული ქმედებები, ნაცვლად 6 თვისა. ხოლო, თუ გარიგების კონტრაგენტი მოვალესთან დაკავშირებული პირი ან მოვალის ნათესავია, არსებული 1 წლიანი ვადა 2 წლამდე იზრდება.

## ცვლილებები კანონებში მაუწყებლობის და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ

საქართველოს პარლამენტი განიხილავს ცვლილებებს კანონში მაუწყებლობის შესახებ.

კანონპროექტის თანახმად დგინდება საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა, რათა სიხშირული რესურსი მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული და მომხმარებლები უზრუნველყოფილნი იყვნენ დღე-ღამის სულ მცირე 2/3-ში უწყვეტი მაუწყებლობით.

ასევე განისაზღვრება, რომ რიგითობის განსაზღვრისას უპირატესობა მიანიჭოს იმ მაუწყებლებს, რომელთა პროგრამებიც გადაიცემა მაღალი გარჩევადობის ფორმატში.

საქართველოში ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამების მაუწყებლობის ენა იქნება მხოლოდ ქართული, თუმცა აღნიშნული რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ საერთო საეთერო მაუწყებლობაზე.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონპროექტის თანახმად განიმარტება ტერმინი მაღალი გარჩევადობის ფორმატი. ასევე, მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე განსაზღვრულია, რომ თუ მაუწყებელი ზედიზედ 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ან წელიწადში მთლიანად 45 დღის განმავლობაში არ მაუწყებლობს, ის დაკარგავს ადგილს მულტიპლექსპლატფორმაში და მას ჩაანაცვლებს სხვა მაუწყებელი.

## მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2015 წლის 27 მაისს საქართველოს სააპელაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმატება გააკეთა უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით (საქმე №28/2074-15).

სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოფის სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტის მთავარი პრინციპი - აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანის ღირებულება წარმოადგენდა 161.56 ლარს. აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მოსარჩელე ითხოვდა ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მოსარჩელის საბანკო ანგარიშების დაყადაღებას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, უზრუნველყოფის ღონისძიებით შესაზღვდი უფლება არ იყო სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნის ღირებულების გათვალისწინებით, არ არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი გადაწყვეტილების აღსრულებლობის ან მისი აღსრულების გამწვანების თაობაზე. ამგვარი ეჭვის არარსებობა კი სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მიზანშეწონილობას იმთავითვე გამორიცხავს.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

### გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის უფროსი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)

### გიორგი სვანაძე

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gsvanadze@deloitte.ge](mailto:gsvanadze@deloitte.ge)

[Home](#) | [Security](#) | [Legal](#) | [Privacy](#)



ლ. ასათიანის ქ. 36ა  
თბილისი, 0105 საქართველო

@ 2016 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას ("DTTL"), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც "Deloitte Global") კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

ეს შეტყობინება მოიცავს შოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, Deloitte Touche Tohmatsu Limited-ი, მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (რომელთა ერთობლიობა შეადგენს „დელოიტის ქსელს“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებენ პასუხისმგებლობას პროფესიონალური მომსახურების მიწოდებაზე. დელოიტის ქსელის არცერთი წევრი ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.